2

726 ∽ 8413

ჩვენი სამშობლო


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 11 (291) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 9 ივნისი

„ჩვენ ვველანი, რომელ რესპუბლიკაშიც უნდა ვცხოვრობდეთ, საბჭოთა პატრიოტები, ერთი სოციალისტური სამშობლოს შვილები ვართ“.

ლეონიდ ბრეჟნევი



ლეონიდ ბრეჟნევი და რიჩარდ ნიქსონი

დაე, მარად იყოს შვილი!

ლენინური სიბრძნით გაერთიანებულმა და უძლეველობამდე აღზევებულმა საბჭოთამ მეოცე საუკუნის ვანდალების მიერ ატეხილ მეორე მსოფლიო ომში ძირს დასცა ფაშიზმი, გაათავისუფლა ევროპელი ერები, დაუბრუნა დამოუკიდებლობა და ხელი შეუწყო მსოფლიო სოციალიზმის არნახულ აყვავებას, შრომის ადამიანის პატივისცემას და ერთა თანასწორუფლებიანობის გაღვივებას. კიდევ მეტიც, თვით გერმანელების მიმართ, გერმანელებისა, რომლებიც ანგრევდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, დაუნდობლად ულეტდნენ მილიონობით ადამიანებს, საბჭოეთმა გამოიჩინა დიადი სულგრძელობა, დაეხმარა მათ აღორძინებას, აღმავლობას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

სოციალიზმმა იმძლავრა ევროპაშიც და მსოფლიოშიც. ევროპის ცენტრში შეიქმნა გერმანელთა ორი სახელმწიფო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წინააღმდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, ჯერაც მძლავრობენ რეაქციული ძალები, რასაც არც თუ უბრალოდ იყენებდნენ მსოფლიოს იმპერიალიზმის სულისჩამდგმელნი. ევროპის ცენტრში დატოვებული მორევანშისტო კუნძულები კი კვლავაც საფრთხეს უქმნიდნენ მშვიდობის წმინდა საქმეს.

და იძალა საბჭოეთმა, თანაარსებობის ლენინურმა ბრძნულმა პოლიტიკამ, რასაც მხარი აუბეს გერმანელი ხალხის გონიერმა შვილებმა — ხელშეკრულებებით დაკანონდა დღევანდელი ევროპის ყველა საზღვარი, სახელმწიფოებრივი განლაგება, საფუძველი გამოეცალა რევანშიზმის მოთავეებს ანუ ახალი ომის მედაფდაფეებს, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დადგა ყოფა გონიერებისა და ძალთა რეალური განლაგების პატივისცემისა, რასაც ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მიერ ადამიანის ბედნიერებისა და თაობათა მშვიდობით გარანტირების ბრძნულ პოლიტიკას უნდა ვუმადლოდეთ როგორც ჩვენ, ისე ევროპისა და მსოფლიოს ხალხები.

„გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელშეკრულებათა ძალაში შესვლა, — განაცხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა, — ევროპაში ბევრ რამეში შეჰქმნის ახალ პოლიტიკურ ატმოსფეროს“.

1972 წლის 3 ივნისს ბონში გაიცვალა სარატიფიკაციო სიგელები ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილი იყო 1970 წლის 12 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის და რის შემდეგაც ევროპაში შეიქმნა ჰეშმარიტად ახალი პოლიტიკური კლიმატი, ესოდენ მომგებიანი რომ არის ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის, უპირველესად კი თვით გერმანელთათვის.

ევროპა დალაგდა, დაკანონდა, საბჭოთა ხალხების მიერ გულმოდგინედ ნაგებ ევროპის სამშვიდობო ტაძარს კიდევ ერთი ნატიფად ნაკეთები ქვაკუთხედი დაედგა. მაგრამ მსოფლიოს მშვიდობის საქმე ისტორიის დღევანდელ ეტაპზე ბოლომდე ვერ იქნებოდა მოვლილი, თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ ჩაებმებოდნენ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის და ამ იარაღის შემზარავი მოსალოდნელი საფრთხისაგან დაზღვევის კეთილშობილურ საქმეში.

და იძალა გონიერებამ, შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ეწვია ძლევამოსილ საბჭოეთს — 1972 წლის 22-დან 30 მაისამდე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ პოდგორნი და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი კოსიგინი მოსკოვში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პრეზიდენტ ნიქსონთან ყველა იმ პრობლემაზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობის განვითარებაში და ამდენად ხელს უწყობენ სხვადასხვა სოციალურ წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განმტკიცებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულების დადება რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ და დროებითი შეთანხმების დადება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს ატომური ომის საფრთხის შენელებას, გამალებული შეიარაღების შეოკებას და სახავს საყოველთაო განიარაღებისაკენ წინსვლის პერსპექტივებს, შეესაბამება საბჭოთა და ამერიკელი ხალხების, მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებანი გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, კოსმოსის დარგში, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შესახებ და მთელი რიგი სხვა შეთანხმებანი შეესაბამებიან, როგორც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს, ისე ადამიანის უშუალო ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ თანამედროვე პირობებში ხდავო საერთაშორისო საკითხები ვერ გადაიჭრება „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მეთოდებით. მათი მოწესრიგება შესაძლებელია და კიდეც უნდა მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მხარეების თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების, ერთმანეთის ინტერესების პატივისცემის პრინციპი, საერთაშორისო ურთიერთობაში სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე დიდი თუ პატარა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საყოველთაო დამკვიდრება.

გალღვა ყინული, იძალა მშვიდობამ, კაცთმოყვარებამ!

28 მაისს პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი გამოვიდა საბჭოთა ტელევიზიით და ღირსეულად შეაფასა საბჭოეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შედეგები. გამოსვლის დასასრულს პრეზიდენტმა შენიშნა: გუშინ პისკარევის სასაფლაოზე გვირგვინი დავდე საფლავს, რომელიც მამაც ადამიანთა ხსოვნას ინახავს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ლენინგრადის ბლოკადის დროს რომ დაიღუპნენ. სასაფლაოზე ვნახე თორმეტი წლის გოგონას ფოტოსურათი. ის საყვარელი ბავშვი იყო. მას ტანია ერქვა. მისი დღიურის ფურცლები გვიამბობენ ომის საშინელ ისტორიას.

დედამიწაზე უფრო მყარი მშვიდობისათვის შრომისას, დაე გვახსოვდეს ტანია და ყველა სხვა ტანიები, მათი ძმები და დები ყველგან. მოდით, გავაკეთოთ ყველაფერი, რათა არც ერთმა ბავშვმა აღარ განიცადოს ის, რაც განიცადა ტანიამ, რომ თქვენმა და ჩვენმა შვილებმა, ქვეყნად ყველა შვილებმა შესძლონ ცხოვრება მეგობრობასა და მშვიდობაში.

დაე, აღსრულდეს სიტყვა თქვენი, ბატონო პრეზიდენტო, დაე, მარად ცოცხლობდნენ და ხარობდნენ ქვეყნად ყველა ერის ბავშვები — კაცობრიობის მომავალი, დაე, შეწყდეს დედამიწაზე ცეცხლი, ტყვია, ყუმბარა, ჭურვი და ნაპალმი, აღარ დაობლდნენ საბჭოთა ბავშვები, აღარ იტირონ ვიეტნამში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების გოგონებმა და ბიჭებმა, აღარ იწვოდნენ და იტანჯებოდნენ ინდოჩინელი ბალღები — დაე, აღსრულდეს სიტყვა თქვენი, ბატონო პრეზიდენტო!

საბჭოთა ხალხები სიამაყის გრძნობით ესალმებიან ჩვენი ხელმძღვანელების კეთილშობილურ შრომას, კაცობრიობის ბედნიერების მშვიდობიანი აწმყოსა და ნათელი მომავლის უზრუნველყოფით რომ არის მაღლმოსილი.

დაე, მარად იყოს შვილი!





დ. ძმ.; მ. შ.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში

1972 წლის 26 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ და დროებით შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

მხედველობაში მიიღო რა მხარეთა შეთანხმება, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ საბჭოთა კავშირის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა დაიცვან ხელშეკრულებითა და დროებითი შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებანი მათი ხელმოწერის თარიღიდან.

ხელშეკრულება და დროებითი შეთანხმება ოფიციალურად შევა ძალაში ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელებისა და საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დროებითი შეთანხმების მიღების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაცვლის შემდეგ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ლუდვიკ სვობოდას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე,** საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი ძოწენიძე,** საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი ჯავახიშვილი** 27 მაისს ბიჭვინთაში ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს **ლუდვიკ სვობოდას,** რომელიც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებს. გაიმართა გულთბილი, გულითადი შეხვედრა.

საუბრის დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ განუწყვეტლივ ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკების ძმური კავშირ-ურთიერთობა. აღინიშნა, რომ გასული ომის წლებში ერთობლივი გმირული ბრძოლით შედუღაბებული საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელი ხალხების ურღვევი მეგობრობა ჩვენს დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდა და ემსახურება სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, მშვიდობის საქმეს.

იმავე დღეს საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა სადილი გამართეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ლუდვიკ სვობოდასა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

სადილზე **ვასილ მჟავანაძემ** და **ლუდვიკ სვობოდამ** მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს. სადილმა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

სადილზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვალერიან კობახია,** აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პავლე გილაშვილი,** პარტიის გაგრის რაიკომის პირველი მდივანი **ლუდვიგ ღურწკაია** და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის თანმხლები პირები.

გერმანული ავეჯის გამოფენაზე

თბილისში, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ორი კვირაა ექსპონირებულია გამოფენა „ყველაფერი ოჯახისათვის“, რომელზეც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი ავეჯის საწარმოები უჩვენებენ თავიანთ პროდუქციას. ამ ხნის მანძილზე გამოფენა 45 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

7 ივნისს გამოფენა დაათვალიერეს **ვასილ მჟავანაძემ, გივი ჯავახიშვილმა, მიხეილ გოგიჩაიშვილმა, ზურაბ პატარიძემ,** საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა **ერმალო ჯაფარიძემ, ვიქტორია სირაძემ.** მათ დაათვალიერეს საცხოვრებელი ოთახების, საძილე, სასადილო, კაბინეტების, სამზარეულოს გარნიტურები.

ვასილ მჟავანაძემ აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ავეჯის ინდუსტრიის მიღწევები, გამოფენაზე წარმოდგენილი ახალი მოდელების ორიგინალობა, პრაქტიკულობა და მრავალმხრივობა, ავეჯის მოპირკეთების ჩინებული ხარისხი და ლაზათი. ახსნა-განმარტებას იძლეოდა გამოფენის დირექტორი **ზიბერტ კლაუსი,** მან განაცხადა, რომ ბერლინის, აიზენბერგის, ცეულენროდისა და ჰეპერაუს ავეჯის კომბინატები პროდუქციას უშვებენ თანამედროვე კონვეიერულ ხაზებზე. ჩვენი დევიზია, თქვა მან, გამოვუშვათ ისეთი ავეჯი, რომ იგი ადამიანებს მრავალი წლის განმავლობაში სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებდეს. 1972 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში შემოიტანს 62 მილიონი მანეთის ავეჯს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მიერ გამოფენის დათვალიერების დროს იყვნენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **რაფიელ ელიგულაშვილი,** საქართველოს ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე **მირიან შიხაშვილი,** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — ავეჯის მრეწველობის სახალხო საწარმოთა გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე დოქტორი **იოჰიმ ფრანკი,** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „ჰოლც უნდ პაპირის“ ხელმძღვანელი მუშაკები.

წარდგენილია საზელმწიფო პრემიაზე

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა გამოაცხადა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში 1972 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად საკონკურსოდ დაშვებულ კანდიდატურათა სია. კონკურსში საქართველოდან მონაწილეობენ შემდეგი კანდიდატურები:

სახვითი ხელოვნების დარგში

მერაბ ბერძენიშვილი — გიორგი საკაძის ძეგლის კასპში.

წარდგენილია საქართველოს მხატვართა კავშირის, საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომისა და კასპის რაიაღმასკომის მიერ.

თეატრალური ხელოვნების დარგში

ვახტანგ ჭაბუკიანი — ბალეტმეისტერი, **რევაზ გაბიჩვაძე** — კომპოზიტორი, **ვახტანგ ფალიაშვილი** — დირიჟორი, **მურაზ მურვანიძე** — მხატვარი, **ვალერი აგულაძე, ნათელა არობელიძე, ბექა წოწორია, მონადირდიასშვილი, მაკა მახარაძე, სერგი ტერეშჩენკო** — როლების შემსრულებლები. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ჰამლეტი“.

წარდგენილია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ.

კინემატოგრაფიის დარგში

ლევან პაატაშვილი — ოპერატორი. მხატვრული ფილმი „გაჭეჭვა“. კინოსტუდია „მოსფილმის“ ნაწარმოები.

წარდგენილია კინოსტუდია „მოსფილმის“ მიერ.

ყოველი მხრიდან

ტალინის სცენაზე

ესტონელი ხელოვნებისმოყვარულები გულთბილად შეხვდნენ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ესტონიის“ ახალ დადგმას — სულხან ცინცაძის ბალეტ „დემონს“. ბალეტმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გამოიცა ამერიკაში

წლეულს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ცნობილმა გამომცემლობამ სპეციალური გამოკვლევების სერიაში გამოსცა ქართველი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი მჭედლიშვილის მონოგრაფია — „თავის ტვინის სისხლძარღვთა მექანიზმები“. ეს წიგნი პირველად 1968 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაუკამ“ ლენინგრადში. საბჭოთა, პოლონელი და ამერიკელი მეცნიერები საუკეთესო შეფასებას აძლევენ ამ წიგნს.

სიმპოზიუმი ფარმაკოთერაპიაში

29-31 მაისს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში გაიმართა საქართველოსა და უნგრეთის მეცნიერთა ერთობლივი სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის აქტუალურ საკითხებს. სიმპოზიუმი მოაწყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და უნგრეთის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „მედიმპექსმა“. მის მუშაობაში ქართველ და უნგრელ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული მეცნიერები, კლინიცისტები, ფარმაკოლოგები და ესპერიმენტატორები.

საქართველოსა და უნგრეთის მეცნიერებს შორის მეგობრულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად უნგრელ ფარმაკოლოგებთან შეხვედრა 1961 წელს გაიმართა თბილისში. შემდეგ ქართველ და უნგრელ მეცნიერთა შორის მეცნიერული ინფორმაციის გაცვლა, ურთიერთშეხვედრები, სამეცნიერო სიმპოზიუმების მოწვევა და სხვა მეცნიერული კონტაქტები განსაკუთრებით გაღრმავდა, გაფართოვდა და დღეისათვის უკვე ტრადიციად იქცა.

ფარმაკოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი უნგრეთ-საქართველოს მეცნიერთა მომავალი, მეოთხე სიმპოზიუმი გაიმართება 1973 წელს ბუდაპეშტში.

მუსიკის უკვდავება

24 მაისს კიევში, ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული გაიმართა — უკრაინის დიდაქალაქი აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერის“ პირველ აღქერებას ამ თეატრის სცენაზე. პრემიერას ესწრებოდნენ სტუმრები — საქართველოდანაც, რომლებმაც გულწრფელად გაიზიარეს მასპინძელთა წარმატება და სიხარული.

მაისის ბოლოს კი „აბესალომ და ეთერი“ ლენინგრადელ მუსიკოს მოყვარულებს უჩვენა სერგეი კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა. როგორც კიევში, ისე ლენინგრადში ქართველი კომპოზიტორის უკვდავ ოპერას დიდი წარმატება ხვდა.

შეხვედრები მოსკოვში

ამასწინათ სსრკ მწერალთა კავშირის საკონფერენციო დარბაზში შედგა ქართული ლიტერატურის საბჭოს მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა უკანასკნელი წლების ქართული პროზის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა მიმოხილვას. საბჭომ მოაწყო მწერალ ედიშერ ყიფიანის ახალი რომანის — „ცაში ასროლილი ქუდების“ ფართო განხილვა.

სხდომა გახსნა მწერალმა კონსტანტინე სიმონოვმა, მოკლე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე.

მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა გურამ ასათიანმა. მომხსენებელმა ღრმად და საინტერესოდ ილაპარაკა უკანასკნელი წლების ქართული პროზის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და თავისებურებებზე, ხოლო შემდეგ საფუძვლიანად გაარჩია ედიშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“.

მოხსენების შემდეგ ყიფიანის რომანზე ილაპარაკეს ელიზბარ ანანიაშვილმა, ვლადიმერ გვიდეკომ, ალექსანდრე კიკნაძემ, ვიქტორ პერცოვმა, მარიან ტკაჩოვმა, ნიკოლოზ ტომაშევსკიმ, ბორის გრიბანოვმა, ჰენრიხ მატინმა, ვლადიმერ ვორონოვმა.

დასასრულს ედიშერ ყიფიანმა მადლობა გადაუხადა სიტყვით გამოსულ ამხანაგებს.

იმავე დღეებში მოსკოვში ჟარნახა „სერპ ი მოლოტმა“, ლიბახოვის ჟარნხის ბიბლიოთეკამ, პოგოდინისა და ლომონოსოვის სახელობის ბიბლიოთეკებმა შეხვედრა მოუწყეს მწერალ გურამ ფანჯიკიძეს და გაარჩიეს მისი რომანი „მეშვიდე ცა“, რომელიც ადრე გამოაქვეყნა უკრაინულმა „დრუჟბა ნაროდოვმა“, შემდეგ კი 100.000 ტირაჟით გამოსცა „მოლოდაია გვარდიამ“, სამომავლო თვის შემდეგ კი რომანი ხელმეორედ გამოიცა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო განხილვა „სერპი მოლოტში“, სადაც მეფოლადეები მწერალს შეხვდნენ პირდაპირ მეტალურგიულ საამქროში.

ჟარნხნის, პოგოდინისა და ლომონოსოვის ბიბლიოთეკებში შეხვედრების დროს სიტყვებით გამოვიდნენ მეცნიერები, პედაგოგები, მკერავები, ჟარნხნის მუშები, სტუდენტები, გეოლოგები... გამოსულებმა მადლი შეფასება მისცეს რომანს.

გივი ჯოხაძე

მეგობრობის კონფერენცია

აზერბაიჯანის თეატრები ჰოძმე საქართველოს სცენურ ხელოვნებასთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობით იქმნებოდა და იხვეწებოდა. დღესაც აზერბაიჯანელთა რეპერტუარშია ქართველ ავტორთა ათზე მეტი ნაწარმოები: ზაქარია ფალიაშვილის ოპერა — „დაისი“, ნოდარ დუმბაძის კომედია — „ნუ გეშინია, დედა“, შოთა მილორავას ოპერეტა — „სიმღერა თბილისზე“ და სხვა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის სცენის ოსტატთა ურთიერთობისა და მეგობრობის შესახებ იყო მსჯელობა ამას წინათ ბაქოში გამართულ აზერბაიჯანის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტისა და თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა გაერთიანებულ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

გაზეთ დავითს ჩვენი რედაქციისა და გაზეთ „საქართველოს“ მკითხველთა სახელით რექტორობას ვულოცავთ. იმედი გვაქვს, რომ პროფესორი დავით ჩხიკვიშვილი ისეთივე მამულიშვილური ერთგულებითა და მგზნებარებით მოუვლის ჩვენი მეცნიერების ტაძარს, ვეებერთელა ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ტალანტს არ დაიშურებს ჩვენი სასიქადულო მომავლის აღზრდის საქმეზე, როგორადაც პირნათელი იყო თავისი კეთილშობილური შრომის ყველა უბანზე. ჩვენი მკითხველების სურვილის შესაბამისად რამდენიმე კითხვით მივმართეთ თბილისის უნივერსიტეტის ახალ რექტორს.

● ბატონო დავით, თქვენ ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი გამოცდილება გაქვთ — წლების განმავლობაში ბრძანდებოდით პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, კითხულობდით ლექციებს უნივერსიტეტში. ამიტომ ძნელი არ იქნება რამდენიმე სიტყვა გვითხრათ ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერებზე.

— ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს, განათლებული, ნიჭიერი, ერუდირებული. მათი ცოდნის დონე და ინტელექტი მაღალია, შრომისმოყვარეობა შესანატრელი. ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერთა დღევანდელი წვლილი იმის საწინდარია, რომ მომავალში ჩვენს მეცნიერებას მეტი სახელი და პატივი ექნება, რომ მისი მონაპოვარი გაცილებით ამაღლდება. ჩვენს უნივერსიტეტში მომუშავე ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი არჩეულია საერთაშორისო საზოგადოების წევრად, კითხულობენ ლექციებს უცხოეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში, მათი ნაშრომები იბეჭდება მსოფლიოს ხალხთა ენებზე. ცოტა ხნის წინათ უნივერსიტეტის მეცნიერა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს ახალგაზრდა პროფესორი ლევან ქიქიაშვილი. 1970 წელს უნივერსიტეტის პრემია მიეკუთვნა მის მონოგრაფიას, რომელიც ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლევანს უკვე თვითონაც ჰყავს სასახელო მოწაფეები. მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ლევან თანჯიკიძემ ასპირანტურაში სწავლების პირველ კურსზევე დაამთავრა საკანდიდატოზე მუშაობა და დისერტაცია დაიცვა კიდეც. ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ გამყრელიძე არჩეულია ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრად, მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ გივი ხუციშვილი და გივი სანაძე. ახალგაზრდა სასახელო მეცნიერები უნივერსიტეტში ბევრნი არიან. ისინი ღირსეულად განაგრძობენ მეცნიერ მამათა — დიდი ივანე ჯავახიშვილის, პეტრე ბელიქიშვილისა და მათ თანამოსაგრეთა მიერ დაწყებულ საქმეს. უნივერსიტეტის კედლებში სამი თაობა იღვწის, სამი თაობა თანაბარი მონდომებითა და შრომისმოყვარეობით ემსახურება მეცნიერების წინსვლას.

● ბატონო დავით, თქვენ ბევრს მოგზაურობთ საზღვარგარეთ, ხომ არ შეხვედრიხართ ჩვენს თანამემამულეებს?

— შევხვედრივარ ბევრ თანამემამულეს, რომლებიც უცხოეთშიც არ ივიწყებენ სამშობლოს, ზოგიერთი მათგანი საინტერესო და სასარგებლო ღვაწლს ეწევა ქართული კულტურისა და ისტორიის კვლევის სფეროში. მათ შორის აღსანიშნავი არიან ნინო და კალისტრატე სალიები. მათი საქმიანობის შესახებ კარგად იციან გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებმა. საინტერესო იყო შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესორ ვახტანგ ჯობაძესთან. იგი მოგვწონა. როგორც პიროვნება და როგორც მეცნიერი, ნიჭიერი ბიზანტინოლოგი და ქართველოლოგი, რომელიც ნამდვილი მეცნიერული ავტორიტეტით სარგებლობს. ჩვენმა თანამემამულემ მაჩვენა მეტად საინტერესო მასალები თავისი ახალი გამოკვლევებიდან — იგი ამჟამად შეისწავლის შავ მთას და ამზადებს ნაშრომს დასასტამბად. ჩვენი სტუმრობისას უკვე ხელთ ჰქონდა პირველი ტომის კორექტურა და ალბომი. დარწმუნებული ვარ, რომ ბატონ ვახტანგ ჯობაძის ეს ნაშრომი დიდი შენაძენი იქნება ქრისტიანული კულტურის ისტორიისათვის.

● რამდენიმე სიტყვა სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან ჩვენი უნივერსიტეტის ურთიერთობის შესახებ.

— დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ჩვენი უნივერსიტეტისა და იენას უნივერსიტეტის ახალგაზრდებს. ამჟამად ჩვენი რამდენიმე სტუდენტი იენაში იმყოფება, ხოლო გერმანელი ახალგაზრდები ჩვენთან გადიან სწავლების მთელ კურსს. ვმეგობრობთ ლოძის უნივერსიტეტთანაც.

ჩვენი უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია შედის სამეცნიერო ცენტრების საერთაშორისო გაერთიანებაში, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „დუბნა — ალმა-ათა — ბუდაპეშტი — ბუქარესტი — ვარშავა — კრაკოვი — მოსკოვი — სერპუხოვი — სოფია — ტაშკენტი — თბილისი — ულან-ბატორი — ჰანოის თანამშრომლობა“. ეს გაერთიანება ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევას ეწევა. მან უკვე გამოაქვეყნა შრომები საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში. ერთობლივი კვლევის შედეგები მოხსენდა საერთაშორისო კონფერენციას შარშან ამსტერდამში. შემდეგი სამეცნიერო შეკრება წლეულს შემოდგომით თბილისში გაიმართება.

მომავლისათვის ვფიქრობთ მეგობრული ურთიერთობის დამყარებას პრაღისა და მადრასის უნივერსიტეტებთან.

ჩვენი მეცნიერები ხშირად კითხულობენ ლექციებს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის ბევრი ახალგაზრდაა: რევაზ და თამაზ გამყრელიძეები, გივი სანაძე, გივი სვანიძე, გივი ხუციშვილი, ივანე ვაშაკიძე, გურამ ხარატიშვილი, გივი ჯანუყაძე, ალექსანდრე ალექსიძე და მრავალი სხვა.

ახალგაზრდა გურამ რამიშვილმა სადოქტორო დისერტაცია იენაში დაიცვა, გერმანელმა ჰაინც ფენრიხმა კი ჩვენს უნივერსიტეტში მოამზადა სადოქტორო დისერტაცია აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით და აქვე ქართულად დაიცვა სამეცნიერო ხარისხი.

● ბატონო დავით, რას ეტყოდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ჩვენს თანამემამულეებს?

— ერთ თემაში გაზეთებში გამოცხადდება უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესი. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ დღეისათვის უკვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაინტერესდნენ და სწავლობენ ჩვენს ენას, ისტორიას, კულტურას. ბევრი უცხოელი აცხადებს სურვილს ისწავლოს ჩვენს უნივერსიტეტში. მით უფრო სასიხარულო იქნება, თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი თავიანთ შვილებს სასწავლებლად გამოგზავნიან. ჩვენთან, თბილისის უნივერსიტეტი ფართოდ გაუღებს კარს სწავლის მსურველ ყველა თანამემამულეს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თითოეული მათგანი სრულყოფილად აზიაროს მეცნიერულ ცოდნასა და სამშობლოს სიყვარულს.

საუბარი ჩაიწერა
ლია მიქაძემ



უნივერსიტეტის ახალი რექტორი

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი რექტორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ჩხიკვიშვილი 1921 წლის 28 თებერვალს დაიბადა ჩოხატაურში. 1928 წელს ჩხიკვიშვილების ოჯახი საცხოვრებლად გადადის ბათუმში, სადაც დავითმა 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა I საშუალო სკოლა და იმავე წელიწადს სწავლა განაგრძო მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში; მაგრამ მალე ომი დაიწყო და სტუდენტური მერხი საბჭოთა მფრინავის მუნდირზე გაცვალა — დაამთავრა სამხედრო ავიასპეციალისტთა სკოლა და ომის დაწყებიდან ფაშისტებზე გამარჯვებამდე სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა. შემდეგ, როცა ქვეყანას მშვიდობა ეწვია, დაამთავრა უმაღლესი პარტიული სკოლა, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „საბჭოთა კულტურის ეროვნული ფორმის შესახებ“. მუშაობდა უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებაში განყოფილების გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწედ, ამავე აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების სწავლულ მდივნად, აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა სამუშაოებზე: იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინისა და ორჯონიკიძის რაიკომების პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, საქართველოს კულტურის მინისტრი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. 1962 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „სოციალიზმი და ქართული ეროვნული კულტურის საკითხები“. 1969-1972 წლებში დავით ჩხიკვიშვილი კულტურის განყოფილების გამგეა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო წლევანდელი მაისიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახლავთ. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი, სტატიები კულტურისა და მეცნიერების საკითხებზე. არის საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი.

დავით ჩხიკვიშვილი სამამულო ომის პერიოდში და მის შემდგომ დაჯილდოებულია ლენინის, სამამულო ომის II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით. ი რას წერს თავის წიგნში „შორი ბომბდამშენი“ დავით ჩხიკვიშვილზე ავიაციის მთავარი მარშალი ა. გოლოვანოვი:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 11 სექტემბრის, 4 და 22 ოქტომბრის ბრძანებულებებით დაჯილდოვდა ჩვენი ლეგიონის მფრინავთა პირველი ჯგუფი. აქ იყვნენ საბჭოთა კავშირის მომავალი გმირებიც... და მომავალი მეცნიერებიც: უმცროსი სერჟანტი დ. ჩხიკვიშვილი გახდა მეცნიერებათა დოქტორი, რექტორი თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტისა“.







სურათებზე: ზევიდან — ქართული უნივერსიტეტის ამაგდარები ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი.

ციფრების ენით

● უნივერსიტეტში 19 ფაკულტეტია. მათ შორის უძველესია ფილოლოგიური, უახლესი კი კიბერნეტიკისა და გამოუყენებითი მათემატიკის.


● თბილისის უნივერსიტეტში 116 კათედრაა, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე მეცნიერების უახლეს მიმართულებებს თითქმის უველა დარგს.

● ქართულ უნივერსიტეტში მოღვაწეობს საკავშირო და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის 24 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), 180 პროფესორი, 450 დოცენტი, 170 დოქტორი, 300-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი.

● თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს 350 ასპირანტი. მათ შორის არიან ჩამოსულები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთიდან: ინგლისიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან, ეგვიპტიდან, ვიეტნამიდან.

● დღეისათვის თბილისის უნივერსიტეტში სწავლობს 17 ათასამდე სტუდენტი.

● უოველ წელიწადს ქართულ უნივერსიტეტს ამთავრებს და თავისი ქვეყნის, ერის საკეთილდღეო საქმიანობაში ებმება 3.000-ზე მეტი სხვადასხვა დარგის სპეციალისტი.



ჩვენი უნივერსიტეტი



და შენ, ქართველო, სწავლითა



ვინც რომ გაიმეორა!..

„...საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყურძნისა და ციტრუსოვანთა, თამბაქოსა და ჩაის, ტუნგოს ზეთისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების საერთო-საკავშირო წარმოებაში.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ ქართველი მეცნიერები...

საქართველოს ახლა აქვს არა მარტო შესანიშნავად მოწყობილი ინსტიტუტები, არამედ ჰყავს მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერები, რომლებსაც სხვა რესპუბლიკების მეცნიერთა თანამეგობრობით უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში“.

ლეონიდ ბრეჟნევი

1900 წელი, პარიზი, მეჩაიეთა მსოფლიო ფორუმი... ინდოეთიდან, ჩინეთიდან, ცეილონიდან, ინდონეზიიდან ჩატანილ ჩაის ჟიური უსინჯავს გემოს, ფერს, ბუკეტს. უნდა დადგინდეს — რომელია ყველაზე კარგი. დადგა განჩინების დღე და... ოქროს დიდი მედალი საქართველოს მიწაზე მოყვანილ ჩაის მიეკუთვნა! მიეკუთვნა პარიზში — 1900 წელს.

...ზოგმა ისიც არ იცის, სად არის საქართველო. ჯინ არიან ქართველები, მაგრამ... ქართული ჩაის პირველი აღიარება მოპოვებულია.

ჩაის სვამდნენ მეფეები და იმპერატორები, უფლისწულები და ჰერცოგები... სვამდნენ როგორც უბრალო წამალს, ძალისა და ნებისყოფის მომგვრელს.

მოგვიანებით ჩაი რუსეთისკენაც პოულობს გზას. 1638 წელს დესპანი ვასილ სტარკოვი უჩვეულო საჩუქრით დაბრუნდა მონღოლეთიდან: ალ-ბინანმა ოთხი ფუთი ჩაი გამოუზავნა რუსეთის მეფეს მიხეილ თეოდორის ძეს. სტარკოვმა მეფეს მოახსენა: „არ ვიცი, რომელი ხისა თუ ბალახის ფოთლებია. ხარშავენ წყალში, თან რძეს უმატებენ...“ ჩაის მეფის კარზე თავდაპირველად უშაქროდ სვამდნენ. ყველას მოეწონა და დაიძრა ვაჭართა ქარავნები ჩინეთსა და ინდოეთს...

გადიოდა წლები. ჩაის საფასურად ყოველ წელიწადს 60 მილიონი ოქროს მანეთი იხარჯებოდა. რუსეთის მეცნიერები ზრუნავდნენ ადგილობრივი ჩაის მოშენებაზე. პერსპექტიულად საქართველოს ზღვისპირეთს მიიჩნევდნენ. „სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, სადაც ბამბა ხეირობს, სადაც ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება და საცა შესაძლოა გაჩნენა თითქმის ყოველგვარი საზეთე, სამღებრო და საფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა დიდი შეცდომაა“... სწერდა ილია ჭავჭავაძე და მეფის მთავრობისაგან საქართველოში შეჩაიეობის განვითარებისათვის ყურადღების გამოჩენას მოითხოვდა.

1847 წელს ჩაის ბუჩქები ყირიმიდან ოზურგეთში ჩაიტანეს, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, ბუჩქებმა იხარეს და ნაყოფი მოიღეს. მიხეილ ერისთავმა, ჩაის მოვლა-მოყვანის შესასწავლად ჩინეთში რომ იმოგზაურა, სოფელ გორა-ბერეჟოულში ჩაის პირველი პლანტაცია გააშენა. „გთხოვთ ჩემი მამულის გირაოს ქვეშ მომცეთ 20 ათასი მანეთის სესხი, რათა ჩაის საბოლოოდ დავუმკვიდრო საქართველოში ადგილიო“ — სწერდა მიხეილ ერისთავი ქუთაისის გუბერნატორს, მაგრამ უარი მიიღო და ეს საშვილიშვილო საქმე ცალკეულ ენთუზიაზისტთა ანაბარა დარჩა.

კოლხეთის დაბლობზე კვალვინდებურად ციებ-ცხელება დათარეშობდა, გაუვალი ჭაობი ათასობით მშრომელი კაცის სიცოცხლეს იწირავდა...

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე სახე იცვალეს დასავლეთ საქართველოს სოფლებმაც, აკი ეხლაც მღერის ქართველი კაცი: „იქ, სადაც წინათ ჩხაოდა ტურა, ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა“.

გამოცდილი სპეციალისტების ნაკლოვანება ქართველ მეჩაიეებს საშუალებას არ აძლევდა გადაეწყვიტათ — სად და როგორ გაეშენებინათ ჩაი, მანდარინი, ლიმონი, მოიწვიეს მსოფლიოს სახელის მქონე ინგლისელი და ინდოელი სპეციალისტები, რომლებმაც შეამოწმეს ნიადაგი, მოახდინეს მრავალრიცხოვანი დაკვირვება და განაცხადეს — ტყუილად ირჯებით, საქართველოს მეჩაიეობის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიაო. მაგრამ... იძალა გონებამ, საბჭოთა ადამიანების შემართებამ...

დაშრა ჭაობები, გაიკაფა უღრანი, აშენდა გზები და ხიდები. და... საქართველოში რევოლუციამდე ჩაი 900 ჰექტარზე იყო გაშენებული, საჰექტარო მოსავალი კი 540 კილოგრამს ძლივს აღწევდა. 1970 წელს ქართველმა მეჩაიეებმა 64 ათას ჰექტარზე გაშენებულ ჩაის პლანტაციებში მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 250 ათას ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ორ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომლებმაც ქალაქ მახარაძის მახლობლად სოფელ ანასეულში დაიდეს ბინა და მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

* * *

აი რა გვაუწყა შრომის წითელი დროშის ორდენოსან ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვახტანგ ჯაყელმა:

სუბტროპიკული სოფლის მეურნეობაში წარმატებათა მოპოვება მეცნიერული საფუძვლის გარეშე შეუძლებელია და აკი 1930 წელს ჩამოყალიბდა ჩვენი ინსტიტუტი.

მუშაობას ცარიელ ადგილზე ვიწყებდით. უცხოელი კონსულტანტები ქართულ ჩაის პესიმისტურად განჭვრეტდნენ... მარტოოდენ თავისუფალი ხალხის შთაგონებულმა შრომამ, ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდმა ამაგმა და შორსმჭვრეტელობამ ქართველ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს საშუალება მისცა წარმატებით გადაეწყვიტათ სამამულო სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის შექმნის ამოცანები.

42 წლის მანძილზე ინსტიტუტმა შექმნა სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა შემოქმედებას აგროტექნიკის, სელექციის, აგროქიმიის, მცენარეთა დაცვის, მექანიზაციის, კლიმატოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, ეკოლოგიის, ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ეკონომიკა-ორგანიზაციის დარგებში.

ინსტიტუტში გამოყვანილი და დანერგილი ჩაის სელექციური ჯიშები, რომლებიც საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერმა ქალმა, აკადემიკოსმა ქსენია ბახტაძემ გამოიყვანა, მოსავალს 25-35 პროცენტით ზრდის. ჩვენთანვე დამუშავდა მორწყვის ახალი ტექნიკა, რაც ჩაის მოსავალს 25, ხოლო ციტრუსებისას 40 პროცენტით ადიდებს. ფერდობებზე ჩაის კულტურების გაშენებით ჩაის პლანტაციებში ღრეობი-დერებულია ნიადაგის ეროზიის პროცესები...

საქართველოს სხვადასხვა რაიონში გულმოდგინედ დაკვირდებოდით უკვე განვითარებულ ჩაის ბუჩქებს, მრავალთაგან შევარჩიეთ ერთი, რომელიც დღეს „კლონ 257“-ის სახელწოდებით არის ცნობილი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ზაურ გაბრიჩიძის აზრით, „კლონ 257“ სხვა ჯიშის ჩაისთან შედარებით 52 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა, მისგან მიღებული ნედლეული კი საქვეყნოდ ცნობილ ინდოეთისა და ცეილონის ჩაის სურნელებით, გემოთი და ფერით სჯობს.

ინსტიტუტის სასიქადულო კოჰორტას შეადგენენ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი მიხეილ დარასელია, მეცნიერების დოქტორები გიორგი ნადარაია, სიმონ ფირცხალაიშვილი, ალექსანდრე მოწერელია, დიმიტრი პატარავა, მელქისედეკ ბზიავა, ვარლამ ჯაში, ირაკლი ჩხაიძე.

ქართული ჩაისა და ციტრუსების გაკეთილშობილების საქმეში უფროს თაობას მხარში უდგანან მეცნიერების კანდიდატები — სოციალისტური შრომის გმირი ანტიფო ჭეჭია, შალვა ჯალაღანია, მელიტონ გაბისონია, ვახტანგ კუტუბიძე, პანტელეიმონ თენეიშვილი, უჩა ურუშაძე. ივანე ქერქაძე, თამარ დემეტრაძე, გენო ჩხეიძე, შოთა გოლიაძე, მამია კვირკველია, გალაქტიონ ბიბილეიშვილი, მამია აფხაზავა და სხვები.



ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქართული სუბტროპიკული მეურნეობა მოწინავე იყოს მსოფლიოში, რაც მთავარია, პირნათლად შეასრულონ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნება — შეამსუბუქონ მეჩაიეთა შრომა, ისე მოაწყონ პლანტაციები, რომ შეუფერხებლად იმუშაოს ჩვენი მეცნიერების სიამაყემ, ჩაის საკრეფმა მანქანამ „საქართველომ“.

ამავე მიზნებს ემსახურებიან ინსტიტუტის განყოფილებები და საყრდენი პუნქტები აფხაზეთში, ზუგდიდში, ფოთში, ჩაქვში, წყალტუბოში, აჭარასა და კრასნოდარის მხარის ადიღეს ავტონომიურ ოლქში...

ორ თვეში ერთხელ ინსტიტუტი უშვებს ჟურნალს „სუბტროპიკული კულტურები“, რომელშიც ქვეყნდება მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

ინსტიტუტი უამრავ წერილს იღებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბრაზილიიდან, გვთხოვენ დაწვრილებით გავაცნოთ ამა თუ იმ მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომი. გვეკითხებიან რჩევას, გვთხოვენ აზრს. ქართული ჩაის საქმის მსოფლიო აღიარებაში დიდი წვლილი უდევთ სახელოვან მეცნიერებს— ჩაის პირველი საკრეფი მანქანის „საქართველოს“ ავტორს, ლენინური პრემიის ლაურეატს, პროფესორ შალვა კერესელიძეს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორს პროფესორ ივანე სარიშვილს, პროფესორებს ათინოგე მენაღარიშვილს, ილია ნაკაიძეს, ალექსანდრე ალექსანდროვს, მიხეილ ბოკუჩავას, ივანე ხოფოლავას, ანდრო ნიჟარაძეს, გიორგი გოლეთიანს, აკაკი ჯანაშიას, ვლადიმერ გოგიას, დოქტორებს ვაჟა ფრუიძეს, ვალერიან ვორონცოვს, ივანე ლავრეიჩუკს, ოთარ ონიანს, გივი წილოსანსა და სხვებს, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ ჩვენთან.

* * *

ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს რომ ვეწვიეთ, იქ ახლად მოკრეფილ და გადამუშავებულ ჩაის აჭამშნიკებდნენ. სუფრაზე მიგვიწვიეს, საქმიანი საუბრიდან გავიგეთ, რომ წლეულს საქართველოში საუკეთესო ხარისხის ჩაი იკრიფება, რომ ჩაის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომელიც პირველად მათ გადამმუშავებელ ფაბრიკაში დაინერგა, სასურველ შედეგს იძლევა.

აი რა გვითხრა ინსტიტუტის ახალგაზრდა დირექტორმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა არსენ კეჭაყმაძემ: ჩვენი ვალია ჩაის დამუშავების არსებული ტექნოლოგიური სქემებისა და მანქანა-მოწყობილობათა სრულყოფა, ახალი ხაზებისა და მანქანების შექმნა, მზა პროდუქციის სტანდარტების ამაღლება, დახვეწა, დაღგენა...

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, ეხლა მათ წარმატებით ცვლიან ყავისფერი, წითელი და ყვითელი ჩაის ნატურალური საღებავები, რომლებიც ფერთან ერთად პროდუქციას ვიტამინებითაც ამდიდრებენ. 1970 წელს ამ გამოგონების პატენტები შეიძინეს ინგლისმა და პაკისტანმა“.

„სინაზე“ ეწოდება ახალგაზრდა მეცნიერის კარლო ურუშაძის ხელსაწყოს, რომელიც უშეცდომოდ საზღვრავს ახლად მოკრეფილი ჩაის ხარისხს...

აქ საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ და გადიან ინდოელი, ვიეტნამელი, მაროკოელი ახალგაზრდა მეცნიერები.

* * *

„...მე ვისურვებდი განსაკუთრებით გულითადად მივესალმო და გადავეცე ჩვენი ჩაის პლანტაციების მშრომელ ქალებს. ჩემდა სამარცხვინოდ, საქართველოში ჩამოსვლამდე არ ვიცოდი, თუ რა მძიმეა თქვენი შრომა. აი ამიტომაც განსაკუთრებით მოგესალმებით და გულითადად გეხვევით“... დიდი რუსი მწერლის მიხეილ შოლოხოვის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რაოდენ დასაფასებელია მეჩაიეთა შრომა და რაოდენ დიდი, საშვილიშვილო საქმე გააკეთეს ქართველმა მეცნიერებმა ამ მძიმე შრომის შესამსუბუქებლად — ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ დღეს ამყად სერავს ჩვენს პლანტაციებს. მსოფლიოში მრავალგან სცადეს მსგავსი მანქანების გამოგონება. ბევრმა ინგლისელმა მეცნიერმა მრავალი დღე და ღამე შეალია ჩაის საკრეფ მანქანაზე ფიქრსა და ზრუნვას, თქვეს კიდეც — ჩაის დღეიდან ხელით აღარ მოვკრეფთო, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა, საქმემ კი მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში შეისხა ფრთა. ამ მიღწევის ფონზე უკვე აღარავის უკვირს, როცა ვამბობთ, რომ ჩაის საპლანტაციო მოსავალი ყველაზე უხვი საქართველოშია, რომ საბჭოთა კავშირში მოკრეფილი ჩაის 95 პროცენტი საქართველოზე მოდის, ხოლო ციტრუსების საერთო მოსავლის 99,5 პროცენტი ჩვენს მიწა-წყალზე იკრიფება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ რესპუბლიკის მეჩაიეთა სახელით პარტიასა და საბჭოთა ხალხს აღუთქვა—1975 წელს ჩვენი მეჩაიეები 300 ათას ტონა ჩაის მოკრეფენ! ეს სიტყვები დღეს პლანტაციის ყველა მშრომელის სამოქმედო პროგრამაა და, როგორც ყოველთვის, იგი განხორციელდება კიდეც...

ქართული გამარჯვება საბჭოთა ჩაისა და ციტრუსების ღვაწლმოსილ და მგზნებარე ამაგდრებს!

რევაზ მაჭავარიანი



სურათებზე: აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე საცდელ ნაკვეთში; ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.

საქართველო გაახარე!

კ ი ტ ა ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ს ბ ო ლ ო თ ქ მ ა

სრულიად უცნობნი, ერთიმეორისაგან შორიშორ მცხოვრები ფილატელისტები საფოსტო მარკების გაცვლით უკავშირდებიან ერთმანეთს. წიგნების გაცვლა-გამოცვლით დავმეგობრდით წინამდებარე სტრიქონებისა და ქვემოგამოქვეყნებული წერილის ავტორები, იმ განსხვავებით, რომ ფილატელისტები ეკვივალენტს იცავენ, ჩვენ კი ტოლფასოვნების პრინციპი არ გვამოქმედებდა...

ვცდილობდი შემეძინა **Émile Boisaq**-ის „ბერძნული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“. მივმართე და შეძლებული მეცნიერებისაგან ვერ მივიღე — ძვირი ღირსო.

ჩეხმა მეგობარმა პროფ. იარომირ იედლიჩკამ (1901-1965) მომწერა: ეს ლექსიკონი ჩვენთან არ იშოვება, მისწერეთ პროფ. კიტა ჩხენკელს, მართალია ღარიბია, მაგრამ გულისხმიერი ადამიანია და გამოგიგზავნითო. მართლაც, ხსენებული და სხვაც არა ერთი ძვირფასი წიგნი მივიღე მისგან...

კიტა ჩხენკელი დაბადებულა 1895 წლის 8 ოქტომბერს ქუთაისში. მონათლისას პეტრედ დაუწერიათ, მაგრამ შეუწარჩუნებია სახელი კიტა, რომელიც მისთვის ადრევე დედას დაურქმევია.

მამა, სასულიერო პირი, ივანე ჩხენკელი და დედა — ირინე გიორგაძე ცხრა ქალ-ვაჟის მშობლები იყვნენ. ოჯახი ტრადიციულად მოწინავე ყოფილა, არც უსახსროდ ითვლებოდა, მაგრამ წვრილშვილის პატრონებს ხარჯიც დიდი ჰქონიათ. კიტამ 1912 წელს წარჩინებით დაასრულა ქუთაისის გიმნაზია და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1917 წელს უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1920 წელს კიტა ჩხენკელი სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება გერმანიაში, სადაც საკუთარი შრომით ირჩენს თავს. თან ჰალეს უნივერსიტეტში იცრმავებს ცოდნას. ეწაფება ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას, რაშიც 1936 წ. იცავს სადოქტორო დისერტაციას.

კ. ჩხენკელი დისერტაციის დაცვის შემდეგ ასწავლის რუსულ ენას ჰამბურგის უნივერსიტეტში, სახალხო უნივერსიტეტსა და კოლონიურ ინსტიტუტშიც, ერთი წლის შემდეგ კი იწყებს ქართული ენის სწავლებასაც და აგროვებს მასალებს ქართულ-გერმანული ლექსიკონისა და ქართული ენის გრამატიკისათვის, რაც გამოწვეული იყო ქართული ენისადმი საერთოდ ევროპული, კერძოდ კი გერმანული ენათმეცნიერების დიდი ინტერესით.

1943 წელს ომის შედეგად განადგურდა არა მარტო ზემოხსენებული მეცნიერული მასალა, არამედ კიტა ჩხენკელის მდიდარი ბიბლიოთეკაც.

ომის დასრულების წინ კ. ჩხენკელი დამკვიდრდა შვეიცარიაში, სადაც ციურიხის ფედერალურ პოლიტექნიკურ სკოლაში რუსულ ენას ასწავლიდა, მერე კი ციურიხისავე უნივერსიტეტში რუსულ-ქართული ენების სწავლება იკისრა. ადგილობრივ მეცნიერთა მხარდაჭერამ და შინაგანმა მოწოდებამ ძალ-ღონე შემატა და გატაცებით შეუდგა ქართული ენის გრამატიკის, საკითხავი წიგნისა და ლექსიკონისათვის წინათ დაღუპული მასალის ხელახლა შეგროვებას.

უტეხი ნებისყოფის, ფართო დიაპაზონისა და დიდი ლინგვისტური ალღოს კაცმა მოახერხა შეედგინა და გამოექვეყნებინა ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელთათვის, — შესანიშნავი გრამატიკა და საკითხავი წიგნი — **Einführung in die georgische Sprache** — „ქართული ენის შესავალი“ („ამირანის“ გამომცემლობა, ციურიხი, 1958 წ.). წიგნი I, თეორიული ნაწილი — გრამატიკა LXIV+628 გვ.; წიგნი II, პრაქტიკული ნაწილი სავარჯიშოებით — ქრესტომათია — X+614 გვ. (ორივე ერთად — 1316 გვ. საუკეთესოდ არის გამოცემული).

გრამატიკამ და ქრესტომათიამ, რაც უცხოელს აცნობს ქართველოს ისტორიასა და ლიტერატურასაც, უცხოელთა 50-ზე მეტი აღფრთოვანებული რეცენზია დაიმსახურა, მოწონებულია საბჭოთა ლინგვისტურ ლიტერატურაში, მრავალგზის არის მოხსენებული ქართულ პრესასა და თბილისის უნივერსიტეტის გამოცემებში.

ამ ერთობლივი აღიარების გამო იგივე წიგნი კ. ჩხენკელის ერთ-ერთმა პატივისმცემელმა, ინგლისური ენის ბრწყინვალე მცოდნე ელისაბეტ მარშევმა (1894-1971) ინგლისურად თარგმნა. ვიმედოვნებთ, რომ მთარგმნელის ასული, კიტა ჩხენკელის მოწაფე და საქმის გამგრძობი იოლანდა მარშევი ხსენებულ თარგმანს გამოაქვეყნებს.

მეორე დიდი საქმე, რასაც სათავე კიტა ჩხენკელმა დაუდო, არის **Georgisch-Deutsches Wörterbuch** — „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“. მისი 6 ნაკვეთი (ა-კ, — კანდ) შემდგენლის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა (ციურიხი, 1960-1968 წ.).

მეშვიდე ნაკვეთზე მუშაობისას შეწყდა კ. ჩხენკელის ფიზიკური არსებობა, რის შემდეგაც ეგონათ, ლექსიკონი აღარ დამთავრდებოდა, მაგრამ კ. ჩხენკელის მიერ დაგროვილ მასალას უანგარო მზრუნველნი აღმოუჩნდნენ,— ერთი მხრივ, მასწავლებლის მოწაფეების — იოლანდა მარშევის, რუთ ნოიკომისა და ლეა ფლურის სახით, და მეორე მხრივ, იმ ქართველი მეგობრის სახით, რომელმაც ყურადღება დიდი დრო და ენერგია მოახმარა ლექსიკონს კონსულტაციით თუ სხვა დახმარებით.

გამოქვეყნებულია ხსენებული ლექსიკონის 21 ნაკვეთი (ა—ც, 1978 გვ., 1971 წ.), და იმედია, ეს საქმე კეთილად დასრულდება. იოლანდა მარშევი, რომელმაც უნივერსიტეტში მასწავლებელი შეცვალა, ლექსიკონშიც არ უღალატებს მას.

ჩვენი აზრით, საჭიროა ეს დიდი ლექსიკონი, რომელიც დასრულებისას 2500 გვერდამდე იქნება, ერთ ან ორ ტომად გამოიცეს.

მესამე დამსახურება კ. ჩხენკელისა ის არის, რომ მან თავის მოწაფე რუთ ნოიკომთან ერთად გერმანულ ენაზე თარგმნა „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია, რომელიც აგრეთვე მისაბაძად არის გამოცემული (ციურიხი, 1957 წ.), და რამდენადაც ვიცით, ეს წიგნი კიდევ ორგზის გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია პრაქტიკული და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტიც: კ. ჩხენკელმა მიაღწია იმას, რომ ციურიხში გამომცემლობა „ამირანი“ შექმნილიყო ქართული სასტამბო შრიფტის ულამაზესი გარნიტურით.

ცოდნა, რასაც მეცნიერი სხვას ვერ გადასცემს, დაკარგულია, უმოწაფო მასწავლებელი უძეოდ კვდება, კიტა ჩხენკელმა აღზარდა ქართველოლოგები, რომლებიც მასწავლებლის მეცნიერულ საქმეს განაგრძობენ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: კიტა ჩხენკელის სახელის უკვდავსაყოფად მისი უბადლო „ქართულ-გერმანული ლექსიკონიც“ კმარა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კიტა ჩხენკელის ერთ პირად ბარათს, რომლიდანაც ჩანს, რომ იგი მატერიალურად ხელმოკლე ყოფილა, სულით კი — მდიდარი, რაინდული ბუნების კაცი.

ამავე ბარათიდან აშკარად ჩანს, რომ კიტა ჩხენკელი ცუდ პირობებშიც კი საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. ამ მხრივ იგი მისაბაძია უცხოეთში მცხოვრები და სათანადო ცოდნით შეიარაღებული არაერთი ჩვენი თანამემამულისათვის.

იოსებ მეგრელიძე,
პროფესორი.

ძვირფასო ძმაო იოსებ!

პირველად ყოვლისა გითვლით ჩემს გულითად სალამს და თან ჩემს უღრმეს მადლობას, რომ ასე ყურადღებით მექცევით და მიგზავნით ქართულ წიგნებს. იმედია, ცუდად არ გამიგებთ, რომ მე თვითონ პირადად გაგიჩუმდით და მხოლოდ ამირანის გამომცემლობა გპასუხობთ და ისიც გერმანულ ენაზე. საქმე შემდეგშია: პირველყოვლისა, მოგეხსენებათ, რომ შვეიცარიის ხელისუფლებამ თავის დროზე დამდო პატივი და მე, როგორც უცხოელს და თანაც უსახსრო ადამიანს, მომცა უფლება მომეწყო აქ ქართული გამომცემლობა; თანაც მაგრძნობინეს, პოლიტიკური ვითარების გამო, შეძლებისდაგვარად, გამომცემლობამ უნდა აწარმოოს საქმეები გერმანულ ან ფრანგულ ენაზეო.

სხვა რომ არ იყოს რა, მე თვითონ ვალდებული ვარ იმ პირთა მიმართ, რომელნიც თავის დროზე ჩემი შრომის გამოქვეყნების საქმეში დამეხმარნენ, საქმე ისე ვაწარმოოთო, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება, თვალ-ყური ადევნონ გამომცემლობის საქმიანობას.

ეს არის ერთი მიზეზი, რამაც გვაიძულა ჩვენ, საქართველოსთან მიწერ-მოწერის დროს, ხელი აგვეღო ქართულ ენაზე.

რუსული ენა, სამწუხაროდ, არც ერთმა ჩემმა თანამშრომელმა საკმაოდ არ იცის. ერთადერთი ვარ მე, რომელმაც ვიცი რუსული, მაგრამ როგორ გაგწვდე ყველაფერს! და ეს არის მეორე მიზეზი ჩემი გაჩუმებისა, ეს ჩემი პირადი მდგომარეობა! მართლაცდა, აუარებელი საქმეები მაწევს კისერზე: ერთიანად უნივერსიტეტის ლექციები მართმევს ძალიან ბევრ დროს და ძალას. და რა ჯაფას მოითხოვს ქართულ-გერმანული ლექსიკონის დამუშავება და გამოქვეყნება, — არა, არ ვფიქრობ, რომ ამის აღწერა და დაწვრილებით განმარტება თქვენთვის საჭირო იყოს.

ერთი სიტყვით, საშუალოდ მიხდება დღიურად 14-15 საათი განუწყვეტლივი და სასტიკი მუშაობა. ასეთივეა ჩემი თანამშრომლების მდგომარეობა. მატერიალურად არც ერთი ჩვენგანი არ არის უზრუნველყოფილი; ამიტომ იძულებული ვართ ჩვენი დროის ერთი ნაწილი მოვანდომოთ ლუკმა-პურის შოვნას. დანარჩენი დრო კი ხმარდება ქართული წიგნების გადაფურცვლა-გადმოფურცვლას, ლექსიკონის მასალის დაგროვებას, მის დამუშავებას, შემდეგ მის აწყობას და გამომცემლობის საქმეების მოვლას.

ერთი სიტყვით, სხვების ხუმრობა რომ გავიმეორო, დავემზგავსეთ დაყუდებულ ბერ-მონაზვნებს ამ ჩვენს ოთახში, ყოფილ სამზარეულოში მეოთხე სართულზე! მართლაცდა ვცხოვრობთ სრულიად კარჩაკეტილად, თითქმის არავის არ ვხვდებით; მოკლედ, არსაიდან ხმა, არსით ძახილი!

თუ რამდენად მოწყვეტილი ვართ ყველაფერს, ეს გამოირკვა 18 აპრილს, იმ დღეს, როცა ციურიხის უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის ხარისხი მიბოძა. თურმე ყველამ გაიგო ეს ამბავი, თურმე თვით ჩიტებიც აჭიკჭიკებულან (როგორც შემდეგ ერთმა ნაცნობმა პროფესორმა მითხრა) და ჩვენ კი — არც მე და არც ჩემს ასისტენტებს არაფერი არ გაგვიგია და არც რაიმე გვსმენია! დეკანმა წინასწარ მომწერა, აუცილებლად უნდა დაესწროთო ზეიმს, თქვენ ვალდებული ხართ მოხვიდეთო!

ძალიან გამაკვირვა ასეთმა „უდიერმა“ კილომ. დავჯექი და ვუპასუხე: მაპატიეთ, რომ აქამდის არ ვეცნობოდი უნივერსიტეტის დაარსების დღესასწაულს, მაგრამ არ მაქვს თავისუფალი დრო, ვიაროო ასეთ დღეებზე; რაღა დამრჩენია, ამ შემთხვევაში იძულებული ვარ, შევასრულო თქვენი სურვილი-თქო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე შიში ჰქონდა, ვაითუ გაიგო წინასწარ, შენი მტერია, არ მოვა და ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებითო! თვით ზეიმის დროს დეკანმა თავის ახლოს დამსვა, მაგრამ საიდუმლოება არ გამიმჟღავნა, ფილოსოფიური ფაკულტეტის ერთხმით მიღებული გადაწყვეტილება არ მაცნობა.

და აი, როცა პირველ რიგში გამოიძახეს შვეიცარიის ცნობილი საგარეო მინისტრი და შემდეგ გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ვალდერი, მე ჩავბურჩულე დეკანს ყურში:

„ახლა მესმის, თუ რატომ ასე დაჟინებით მოითხოვდით ჩემს დასწრებას: თურმე ასეთი დიდი ხალხის ჩვენება გინდოდათ და მართლაცდა ჩემს დღეში არ ვიპატიებდი ჩემს თავს, რომ ასეთი შემთხვევა ხელიდან გამეშვა. გიძღვნით გულწრფელ მადლობას!“

„კარგად მიხვდითო“, — მიპასუხა დეკანმა ღიმილით. ერთი სიტყვით, ჩვენში რომ იტყვიან, გამაპამპულეს, რაღა! და აი, უცებ წამოდგა ჩემი დეკანი და გაგშურა კათედრისაკენ, თან მოამაბა: მაპატიეთ, რომ გტოვებთ, მაგრამ ჩემი განცხადების ჯერი დადგაო.

მხოლოდ მაშინ მივხვდი! მხოლოდ ასეთმა მოულოდნელმა ამბავმა ლამის დიდ საცოდაობაში ჩააგდო ჩემი გული: თურმე გულისათვის უეცარი სიხარული ისეთივე მავნეა, როგორც უეცარი მწუხარება; თან მე ხომ ფეხები მაქვს გაფუჭებული, ცოლ-ვით დავდივარ (ჰამბურგში დაბომბვის დროს მომივიდა ერთგვარი შოკი ფეხებში, მას შემდეგ სისხლის მოძრაობა არ მივარგა), გამიჭირდა ფეხზე ადგომა, დიდი ვაი-ვაგლახით წამოვდექი და მივცოცდი კათედრისაკენ, გამოვართვი საპატიო დოქტორის დიპლომი და დავჯექი რჩეულთა რიგში.

მე ვფიქრობ, მარტო ეს ეპიზოდი კმარა, რომ გამიგოთ, თუ როგორ კარჩაკეტილად ვცხოვრობ, თანაც რატომ ვარ ასე გაჩუმებული და თქვენ ამდენ პატივისცემაზე, წერილებზე და წიგნებზე კრინტიც ვერ დავძარი აქამდის. გთხოვთ მაპატიოთ და ცუდად არ ჩამომართვათ. გულში მუდამ გიგონებთ თქვენ და ყველა ჩვენს მეცნიერებს დიდი სიხარულით და პატივისცემით.

ამირანის გამომცემლობიდან მოგივათ თქვენ ქართულ-გერმანული ლექსიკონის მესამე რვეული, რომელიც ეს-ეს არის სტამბიდან მოვიდა. თან გამოგეგზავნებათ აქაურ ცნობილ ჟურნალის „ატლანტის“ ერთი რვეული, რომელიც მთლიანად საქართველოს ეძღვნება. ინიციატივა ჩემი იყო, მასალების დაგროვებაში ზოგი ჩემი თანამშრომელი დაეხმარა, მხოლოდ საქმის ჩატარება ითავა Dr. Hummel-მა, ე. ი. თვით ჟურნალის რედაქტორმა (ის ჩემი ყოფილი მსმენელია უნივერსიტეტში).

ცხადია, ბევრ რამეში იქნებ ვერ დავეთანხმოთ სხვადასხვა წერილების ავტორებს, მაგრამ მთავარია და საყურადღებო ის, რომ უცხოელებმა ასეთი საქმე ითავეს და ოდნავ მაინც ამცნეს დასავლეთს ჩვენი ქვეყნის კულტურული ავლა-დიდების ამბავი.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ აქ, უცხოეთში ახალი თაობა წამოიზარდა, რომელსაც ან სრულიად არა აქვს წარმოდგენა ჩვენი ქვეყნის შესახებ, ანდა თუ აქვს, უმეტეს ნაწილად სრულიად ბუნდოვანი და ისიც ხშირად ერთობ მრუდე.

ჩემ მხრივ მაქვს ახლა ერთი დიდი თხოვნა: ჩვენ გვჭირდება ჩვენი მუშაობისათვის აუცილებლად საქ. სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემული განმარტებითი ლექსიკონის ყველა ტომი, კიდევ ორი ცალი, ე. ი. დაწყებული პირველ ტომიდან მეექვსე ტომამდის ორ-ორი ცალი. მხოლოდ მეოთხე ტომი გვჭირდება სამი ცალი და მეშვიდე კი მხოლოდ ერთი ცალი.

უაღრესად გაგვიადვილებს ჩვენს ლექსიკოგრაფიულ მუშაობას, თუ ჩვენ როგორმე მივიღებთ მათ. ეს არის ჩვენი უდიდესი თხოვნა.

იქნებ როგორმე მოხერხდეს ამ წიგნების გადმოგზავნა, მხოლოდ არ ვიცი, ვის უნდა მივმართო? როგორც მოგეხსენებათ, მე ვარ წიგნების გაცვლა-გამოცვლის წესით დაკავშირებული განსაკუთრებით კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან. ორივე ბიბლიოთეკამ მეტად დამავალა: მოგზავნინ ხშირად წიგნებს, მხოლოდ ამჟამად ისმის კითხვა: ნეტავი რომელ მათგანს მივმართო ამ ჩემი თხოვნით, ე. ი. ვის აქვს მათ შორის წიგნების გაცვლა-გამოცვლისათვის მომარაგებული „განმარტებითი ლექსიკონი“?

მეტად დამავალებთ, თუ ამ საქმეში დამეხმარებით, ანდა კიდევ მომცემთ სათანადო რჩევა-დარიგებას.

ერთი კი არის: წიგნების გაცვლა-გამოცვლის საქმეში ჩვენ სუსტნი ვართ და ამ მხრივ მეტად უმწეო მდგომარეობაში ვიმყოფებით. ერთადერთი, რის შეთავაზებაც შეუძლია ამირანის გამომცემლობას, არის ჩემი შრომები. თან, რასაკვირველია, შევეცდებით სხვა წიგნებიც გიმოვოთ, რაც თქვენთვის მანდ საჭიროა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამირანის გამომცემლობას კომერციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მისი ამოცანა არის მხოლოდ გზა გაუხსნას ქართულ ენას უცხოეთში. ერთ-ორ უნივერსიტეტში მოხერხდა კიდეცაც ქართული ენის შემოღება და იმედი მაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიდგამს ფეხს ქართულის სწავლა.

რაც შეეხება საქმის კომერციულ მხარეს, ამას ყველაზე უფრო კარგად განმარტავს ჩვენებური ანდაზა: თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, — სარგებელი ვერა ვნახეო!

წიგნებს ვყიდით იმ ფასად, რამდენიც ჩვენ გვიჯდება; ჩვენ კი ისინი არ გვიჯდება ბევრი: წიგნის აწყობა და მისი გამოცემა თითქმის არაფერი არ გვიჯდება, ვინაიდან ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი საქმის მუშები. ჩვენ კი ჩვენი შრომისათვის ერთ გროშს არსაიდან არ ვღებულობთ; წინააღმდეგ, როცა საჭიროა, ჩვენ თვითონ ვეხმარებით ჩვენი ჯიბიდან. იძულებული ვართ მხოლოდ ერთი ეკონომიური პრინციპი დავიცავთ: წიგნები მაინც უნდა გავყიდოთ, რომ მოვახერხოთ ლექსიკონის გამოქვეყნება (სხვათა შორის, ლექსიკონს უკვე კარგი გამოძახილი აქვს). რომ ეს არ ვქნათ, აბა ვინ გვიშოვის მეორეჯერ ფულს? ის ბუმბერაზი მეცნიერი, რომელმაც ასეთი ინტერესი გამოიჩინა ამ ჩემი შრომისადმი, არ არის ხომ ცოცხალი! — ვლაპარაკობ პროფ. Y. Yud-ზე ამ ქვეყნის დიდი რომანისტზე.

გამიგრძელდა წერილი, მაპატიეთ. არც ერთი ქართველი არ ჰპარებს ჩემს ახლოს და გული ვიძღე! იმედი მაქვს, დამიდასტურებთ ლექსიკონის და ჟურნალის მიღებას. მარად თქვენი

კიტა ჩხენკელი.

ნეტავი თუ გამოვიდა დათიკაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მესამე წიგნი? მეტად დამავალებთ, თუ გამომიგზავნით, აგრეთვე ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონს 1812-1825.

გამოვიდა თუ არა განმარტებითი ლექსიკონის მეშვიდე ტომი? მჭირდება ოთხი ცალი.

(ბ. ჩხ.)



სურათზე: კიტა ჩხენკელი, ლეა ფლური და იოლანდა მარშევი.

ოვაგვულიძის გული

ლიდუბეში არის ერთი საყდარი. ამ საყდრის გვერდით რკინის რიკული აქვს შემოვლებული მყუდრო ადგილს, სადაც მტირალი ტირიფების ხასხასა, მთრთოლვარე მოსასხამები და გაზაფხულის ცხელი ვნებით აალმურებული გეორგინები სათუთად ევლებიან თავს იმათ, ვინც განვლილი, ან უკვე სამარადისოდ დამცხრალი სიცოცხლის ვნებით ეშხსა და ლაზათს აძლევდა ყველა ქართველის სულიერ სამყაროს.

ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მათი დამცხრალი გულები განისვენებენ.

გრილი ნიავი აშრიალებს გაშლილ ტირიფებს და გაზაფხულის მზის ოქროს სხივებზე ბროლის ცრემლივით ბრწყინავს დილის ნამი და ვხედავ, როგორ სვამს ამ ცივ ნამს გაბურძგნილი, გულწრფელი ჩიტბატონა და როგორ უძგერს ცაცქნა, ხალასი, თბილი გული... ნელა მივაბიჯებ მიწაზე, საყვარელ ადამიანთა უკანასკნელ თავშესაფრად რომ ქცეულა. ნამდვილად შორს წაგვიყვანდა მათი ჩამოთვლა. მე კი უკვე მივადექი დანიშნულ ადგილს. შეიძლებოდა გვეთქვა: აქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა და პატარა, გაბურძგნილი ჩიტბატონას ცაცქნა გულითღა ფეთქავდა სიცოცხლე.

გიორგი შავგულიძის საფლავი!

უნებურად მახსენდება ლონდონში, ჰაიგეტის სასაფლაოზე ნანახი ბრინჯაოს შავი ღუზა მოწუვეტილი ჯაჭვით ჩემთვის უცნობი ინგლისელი კაპიტნის უკანასკნელ ნავმისადგომზე. არის რაღაც საერთო ამ ორ ადგილს შორის. ნამდვილი კაპიტანი ხომ არასოდეს კვდება. ის ქრება ვარსკვლავივით, იქნებ, როგორც გაწუვეტილი ღუზა ოკეანისეულ უსასრულო, შავ სიღრმეში. მაგრამ ჩემთვის უცნობია მისი ისტორია.

როცა 1959 წლის გაზაფხულის ჩვეულებრივ საღამოს მთელი დღის მუშაობით დაღლილმა მძღოლმა რამდენიმე ათეული კაცით სავსე ტროლეიბუსი დააჯახა 48 წლის ახოვან მომღიმარ მამაკაცს, და ჩვეულებრივ მოკვდავთ შეანარცხა იგი, არც კი დაფიქრებულა, ალბათ, რომ დაამსხვრია ერთი დიდებული ჭანდაკება, დალეწა ბრწყინვალე შედევრი ხელოვნებისა... ის ინგლისელი მეზღვაური ზღვის სიყვარულმა იმსხვერპლა და მისი გაფრენილი სულიც ბრინჯაოს გაწუვეტილ ღუზად ჩამომდნარა ჰაიგეტის სასაფლაოზე. გიორგი შავგულიძე სიცოცხლის ზღვა სიყვარულმა შეიწირა, დაამსხვრია მისი ანტიკური სხეული, როგორც უკვდავი ხელოვნების ძეგლს ამსხვრევს ხოლმე თარსი ხელი.

...ვარჩევ ადგილებს და ვიღებ რამდენიმე კადრს. პანთეონის დილის მდუმარებაში ფოტოაპარატის ჩხაკუნი თოფის გასროლასავით ისმის. მივიხედ-მოვიხედე. ათიოდე მეტრზე ვხედავ ჩამუხლულ ახალგაზრდას, საფლავის ზღუდეზე ფუნჯები, ჭილები და საღებავები რომ დაუწყვია და რაღაცას ჩაჰკირკიტებს...

მხატვარი საფლავების, ქანდაკებებისა და ყვავილების ფონზე!

და მეც არ ვაყოვნებ. ვიღებ მორიგ კადრს. ის კი იღებს თავს, მიყურებს, ფეხზე დგება და მიღიმის... ვახტანგ რურუა არ ყოფილა, ჩემი ამხანაგი?!.. ამ დილაადრიან რამ მოგიყვანა-მეთქი, ვკითხე. შენაო! ვუთხარი მოსვლის მიზეზი. მე გიორგიმ მთხოვა, პატარა რაღაც არის გასაკეთებელიო. ახლო მივედი — ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას საფლავის წარწერას ახალისებდა თურმე. თითო სიგარეტი მოვწიეთ და კვლავ ჩვენ ჩვენს საქმეებს მივხედეთ.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ძალიან ახლოს ვიცნობდი გიორგი შავგულიძეს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ყველა, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონდა სიცოცხლეში, კეთილად, გულწრფელად, ვაჟკაცურად იგონებს მის ნიჭს, კაცურ კაცობასა და სიცოცხლის სიყვარულს. ნიჭს — თეატრალურ სცენასა და კინოეკრანზე, კაცობას — კულისებში და კულისებს მიღმა ჩახვეულ ცხოვრებაში... და სიცოცხლის სიყვარულს — ოჯახში, ლხინსა და თითოეულ ნაბიჯში, მიხრა-მოხრაშიც კი. გიორგი შავგულიძე ხომ მსახიობთა იმ პლეადას მიეკუთვნება, სიჭაბუკიდანვე რომ ერგოთ დიდი ბედნიერება, თეატრალურ შთაბეჭდილებათა მძლავრ მორევს ჩაეთრია. ჭაბუკ ეორას, როგორც მას ეძახდნენ, მსახიობად გახდომის სურვილი მაშინ აღეძრა, როცა მის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში მილეწეობდა ძველი თეატრის შესანიშნავ ოხტატთა დიდი ჩვენი ლეონიდობული კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. ქუთაისელი ახალგაზრდობა გაიტაცა თეატრმა და მათ რიგებში იყო ეორა შავგულიძეც. 1928-1929 წლებში იგი შეუდგა აქტიორული ხელოვნების დაუფლებას. თვით უველაზე უმნიშვნელო როლსაც კი ეორა დიდი კოტე მარჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ხვეწდა. მოგვიანებით კი, ახალგაზრდა აქტიორი მსახიობთა მთელ ჯგუფთან ერთად თბილისში გადმოვიდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იწვოდა მარჯანიშვილის თეატრში.





გიორგი შავგულიძე იყო ფორმის უაღრესად მწვავე ხასიათის ავტორი. მისი გმირების სულიერი არსი უოველთვის უალიბდებოდა ფიზიკური ბუნების კლასიკური ფორმებით. სწორედ ეს იგრძნობოდა უველაფერში — უესტში, სიარულში, თავის დაჭერაში, ზოგჯერ თვალისთვის ძნელად მისაწვდომ, ზოგჯერაც — საოცრად თამამ შტრიხებსა და დეტალებში. ეორას თითოეული როლი მხატვრის, მოქანდაკის მიერ გამოძერწილ დიდებულ სახედ დაგვრჩა. მის თანამედროვეთ, ალბათ, აუცილებლად ეხსომებათ ის უკვდავი, კლასიკური სახე, რომელსაც შეეძლო მრავალნაირად გარდასახულიყო სცენაზე, მაგრამ სწორედ თავისი საკუთარი სული, მგზნებარე სული ხელოვანისა და ადამიანისა, შთაებერა ყოველი ახალი, განსხვავებული გმირისათვის სცენაზეც და კინოეკრანზეც. შავგულიძის ცხელი გულით ფეთქავდნენ გმირები სპექტაკლებში — „ლეგენდა სიყვარულზე", „კოლმეურნის ქორწინება", „სიყვარული გარიჟრაჟზე", „გზაჯვარედინზე", „გიორგი საკაძე", „რევიზორი", „რიჩარდ III", „ხეები ზეზეურად კვდებიან"... შავგულიძის ცხელი გულით აფეთქდა ეკრანზე დავით გურამიშვილის რაინდული სახე ამავე სახელწოდების კინოფილმში, რაშიდი („გაზაფხული საკენში"), ერემო („ბედნიერი შეხვედრა"), როტმისტრი კლიმიაშვილი („ქალის ბედი"), ასლან-ბეი („მამლუქი"), სიკო („ჭეთო და კოტე") და მრავალი სხვა.

და მაინც, თურმე როლებით შიმშილს განიცდიდა.

იცით, რას ნიშნავს როლებით შიმშილი სცენაზე, როცა გული არ მსახიობობს? ვაპირებდი რამდენიმე ცნობილი რეჟისორისა და მისი თანამედროვე მსახიობის ნახვას. მაგრამ გადავიფიქრე იმიტომ, რომ ცოცხლები მართალს ვერასოდეს ვერ ამბობენ სამარადისოდ წასულ, თანაც როგორ კოლეგაზე!

მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. და იმ უამრავ თაყვანისმცემელთაგან, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთმა ვინმემ გამოხატა თავისი სიყვარული ისე, როგორც ვერავინ.

მეგობრებს თავშესაფარებს ვუწოდებთ.

შვილებს — ანგელოზებს.

მშობლებს ღმერთებად ვთვლით... იმიტომ, რომ...

ერთი პატარა ბიჭუნა ჯერ პლასტილინისაგან თითხნიდა, შემდეგ თიხისაგან ძერწავდა რაღაცას. მერე, უკვე დავაკვაცებულმა, მისცა სრულყოფილი სახე მაკეტს და როცა მისი ღმერთი სამუდამოდ გაქრა 1959 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს მარადიული ძეგლი დაუდგა და გულწრფელად მოიყარა მუხლი მის წინაშე.

— მაპატიეთ. თქვენ ფოტოგრაფი ბართ?

— ?!...

— ძალიან გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, აი იმ ადგილას ერთი სურათი გადამიღეთ... — და შუახნის გამხდარი, წვერმოშვებული მამაკაცი ფეხაკრეფით დგება გიორგი შავგულიძის საფლავთან. — ბიძაჩემიც აქ არის, და მეუბნება ცნობილი ქართველი მსახიობის გვარს. — მაგრამ, გული სულ აქეთ მეწევა ხოლმე, რატომღაც... ძაან გულიანი ვაჟკაცი იყო.

ჯიბიდან დაჭმუჭნილ კოლოფს იღებს და სიგარეტს მაწვდის. ირგვლივ მდუმარე სვეტებად აღმართულან გაქვავებული მამულიშვილები. განა ვინმეს კი დაგვძრახავს, გული ნაღველით თუ ავგეთსება ამ დროს?

საათს დავხედე. რედაქციაში მაგვიანდება. ამ მარმარილოს სვეტებს შორის მოქცეულს მაფიქრებს, ვაითუ ვერ ვიმყოფინო მასალა იმ სამიოდე სვეტისთვის, გაზეთის მომავალ ნომერში რომ არის მონიშნული... მეგობარ მხატვარს გავხედე. მის ნაცვლად უკვე ჩემთვის შეუმჩნევლად მოსული გიორგი შენგელაია ჩამუხლულიყო, ფუნჯი გამოერთმია და თავს ევლებოდა იმ წმინდა ადგილს, სადაც მისი უკვდავი მშობლები განისვენებდნენ.

გიორგი შავგულიძეს მარადიული ძეგლი სწორედ მისმა პირმშომ, ნუკრიმ დაუდგა საფლავზე. ნუკრი მოქანდაკეა და რაკი ხელოვანია, ეს არის, ალბათ, მისი უველაზე დიდი ნაწარმოები სიცოცხლეში.

ნიკოლოზ შენგელაიასა და ნატო ვაჩნაძეს კი გიორგიმ და ელდარმა დაუნთეს სანთლებად თავიანთი წრფელი ფილმები.

ფოტოაპარატის ხედმძებნში გავიხედე. კადრში უშანგი ჩხეიძის ძეგლი, მტირალი ტირიფების, ვერხვების ფონი და ამ ნათელ ფონზე ახალგაზრდა შავგვრემანი კაცი ჩანდა, ბავშვური სიბეჯითით რომ ახალისებდა საფლავის წარწერას — **ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია.** ჩემი მეგობარი მხატვარი შემომცქერის, რას შვრები, ვერ ხედავ, რა დიდებული კადრი ჩაგივარდაო ხელთ. მე კი ფირი გამოვაებოდა და დამწაშავესავით ხელები გავშალე.

ვანთიონიდან რომ გამოვდიოდი, ვიცოდი, რომ დავწერდი საგაზეთო რეპორტაჟს, და იმასაც ვფიქრობდი, რაოდენი სიწრფელით სუნთქავსმეთქი, ალბათ, ის შავად მბზინავი მგლოვიარე მამაკაცის ფიგურა, რომლის ქვეშაც ნუკრის მამის დამცხრალი გული განისვენებს. ბიჭი სახლს რომ აშენებს, უკვე კაციაო, — მომისმენია შუა ქართლის ერთ-ერთ სოფელში. ბიჭი ძეგლს რომ დაუდგამს მამას, ის უკვე ნაღდი ვაჟკაცი უნდა იყოს და მეტი არაფერი.

ვასილ მჟედლიშვილი

ჩემს ქართველ დიდ ალმზრდელს!

მიიღეთ ჩემი საუკეთესო, გულითადი სურვილები — ხანგრძლივი სიცოცხლე, შემოქმედებითი სიხარული, ბედნიერება პირად ცხოვრებაში — დაბადების 76 წლისთავის აღსანიშნავად.

თქვენი ტოკიოელი შვილოგილი რ. კომიამა.

29. III. 72.

ამ წარწერას ვკითხულობთ იაპონიიდან საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელზე მოსულ გრაფიკულ ნაწარმოებთა ალბომზე.

ალბომი გამოაქვეყნა იაპონიაში გამომცემლობა „რირონშას" მფლობელმა მწერალმა რიოხეი კომიამამ.

იაპონელები ხელოვნებისა და კულტურის დიდი მოყვარულნი არიან, ამიტომაც გასაკვირი როდია ინტერესი, რასაც ისინი საქართველოსადმი იჩენენ. ჩვენი გაზეთის წლევანდელ მეცხრე ნომერში ვიუწყებოდით, რომ კომიამამ გამოსცა იქაი ფუკუროს მიერ პოეტურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი". ამდენად მისთვის უცნობი არ არის ჩვენი მხატვრობა და როცა 1967 წელს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა, განაცხადა — თქვენი რომელიმე მხატვრის ნამუშევრები მინდა გამოვცეო. მიიწვიეს გუდიაშვილის სალონში. სტუმარს, ჩანს, ძალიან მოეწონა მასპინძლის ხელოვნება, რადგან სწორედ გუდიაშვილის ნამუშევართა ალბომის გამოცემა გადაწყვიტა. აჩუქეს 1966 წელს გამოცემული გუდიაშვილის ნაწარმოებთა კრებული, საიდანაც შეურჩევია 50 გრაფიკული ნაწარმოები. ალბომი ჩასმულია მუყაოს ბუდეში, რომლის ორივე მხარეს შავ ფონზე გამოსახულია მხატვრის ორი გრაფიკული ქმნილება. დასურათებულია ალბომის სუპერიც, რომელსაც ამშვენებს მხატვრის ავტოგრაფი ქართულად და წარწერა „ჩემი ლადო გუდიაშვილი" იაპონურ და ინგლისურ ენებზე. ალბომი იხსნება გუდიაშვილის ფოტოთი და წერილით. მას მოყვება ოთხი ფერწერული ტილო შესანიშნავ ფერებში — „თევზი ცოცხალი", „ცეწერი", „ფიროსმანი" და „ნინო გუდიაშვილი", შემდეგ იწყება გრაფიკა. მთელ ამ სერიას ანტიფაშისტური ციკლი ჰქვია. ილუსტრაციების ბოლოს დართულია ბორის პასტერნაკის, ჯონ პრისტლის, უილიამ ვაილერის, ფრიდრიხ დიურენმატის, საიდ ნაფის, სერგეი გოროდეცკის, ევგენი ევტუშენკოს აღფრთოვანებული გამოთქმები გუდიაშვილის ხელოვნებაზე.

ალბომი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

ალბომთან ერთად მხატვარმა ბარათიც მიიღო, რომელშიც კომიამა იტყობინება, რომ განწირახული აქვს გამოსცეს მხატვრის ფერწერულ ნამუშევართა ალბომიც, ამასთანავე გეგმაში ჰქონია მოამზადოს კიდევ ერთი წიგნი სახელად — „ჩემი საქართველო".

ნადია მეგაღიშვილი





სურათებზე: ლადო გუდიაშვილის გრაფიკულ ნაწარმოებთა იაპონური გამოცემა. სუპერის ორივე მხარე — „ამორძალების ბრძოლა დევთან" და „ფიროსმანის მესანდრიარი".

ბავშვთა ფეხბურთის ტურნირი

ბავშვთა ფეხბურთის ტურნირის დასრულების შემდეგ

ბავშვთა ფეხბურთის ტურნირის დასრულების შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ ტურნირის ორგანიზატორებს, ფიზკულტურის მასწავლებლებს ნ. ბერიძეს, ნ. ჯანელიძეს, ნ. ნიკოლაძეს, ნ. ჯაფარიძეს, ნ. ბერ

ჩვენი მისამართია: 0108, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 14. ტელეფონები: 93-68-44, 93-66-55. „ალმანახის“ ფოტოსურათები ბეჭდება ფოტოგრაფ ნ. ბერიძის ნებართვით. ალმანახი გამოდის თვეში ორჯერ. ალმანახი „ლიტერატურული საქართველოს“ დამატებაა. ალმანახის ტირაჟი 25 000 ეგზემპლარი. ალმანახი დაბეჭდილია ტიპოგრაფია „ნეკერის“ ბეჭდვითი ქარხნის ოფსეტურ მანქანაზე. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 14. ალმანახის რედაქტორი ნ. ბერიძე. ალმანახის რედაქტორის მოადგილე